საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

ბრძანება №25

ბათუმი „22“ ივლისი 2026 წ.

„ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს წევრთა რაოდენობის განსაზღვრისა და პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2026 წლის 15 იანვრის N2 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 18 დეკემბრის N55-Iს დადგენილებით დამტკიცებული „ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების“ მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. „ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს წევრთა რაოდენობის განსაზღვრისა და პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2026 წლის 15 იანვრის N2 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება და ბრძანების მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ლაშა სირაბიძე - უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე - საბჭოს წევრი;“.

2. ბრძანების ასლი სახელმძღვანელოდ და ცნობისათვის დაეგზავნოს უმაღლესი საბჭოს აპარატის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს, უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს ლაშა სირაბიძეს. ბრძანება განთავსდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე.

3. ბრძანების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის საქმისწარმოების განყოფილებამ, ხოლო უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე ბრძანების განთავსება უზრუნველყოს უმაღლესი საბჭოს აპარატის მასმედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ცოტნე ანანიძე